# სახალხო გაზეთი

№ 1080 სამშაბათი, 31 დეკემბერი 1913 წ. № 1080

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოღიანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძლომარეობა შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 20 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ტელეფონი № 12-29

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა


## გამართულია ხელის მოწერა 1914 წლისათვის

## ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „სახალხო გაზეთი“

წელიწადი მეხუთე — წელიწადი მეხუთე

1914 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა და გაზეთს ექნება

კვირაობით **სურათებიანი დამატება** კვირაობით

**რემიად** 1914 წლის ხელის მომწერნი, ე. ი. ისეთები, რომელნიც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან, ან წინდაწინვე განაცხადებენ გაზეთის კანტორაში, რომ წლიური ხელის მომწერნი არიან, 1914 წლის განმავლობაში **მიიღებენ**

## სამს წიგნს

**პირველი წიგნი** „ქართველი მწერლები“, რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1. „უზრუნველო მეფე“ ისტორიული დრამა ხუთ მოქმედებად **სანდრო შანშიაშვილისა**. „ჯიმშერი შარავანდელი“ ისტორიული რომანი გ. ბრანდესისა ღასხ.

**მეორე წიგნი** „უცხოეთის მწერლები“, რომელშიაც დაიბეჭდება: „**დონ-კარლოსი**“, ტრაგედია შილერისა, თარგმანი გერმანულით **სანდრო შანშიაშვილისა** და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

**მესამე წიგნი** **სამეცნიერო კრებული** ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

| გაზეთის ფასი | წლით | 11 თვით | 10 თვით | 9 თვით | 8 თვით | 7 თვით | 6 თვით | 5 თვით | 4 თვით | 3 თვით | 2 თვით | 1 თვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისში და მის გარედ | 8 მ. 50 კ. | 8 მ. — „ | 7 მ. 50 კ. | 6 მ. 75 კ. | 6 მ. — „ | 5 მ. 25 კ. | 4 მ. 50 კ. | 3 მ. 75 კ. | 3 მ. — „ | 2 მ. 25 კ. | 1 მ. 50 კ. | — 75 კ. |
| საზღვარ-გარედ | 15 მ. — „ | 13 მ. 75 კ. | 12 მ. 50 კ. | 11 მ. 25 კ. | 10 მ. — „ | 8 მ. 75 კ. | 7 მ. 50 კ. | 6 მ. 25 კ. | 5 მ. — „ | 3 მ. 75 კ. | 2 მ. 50 კ. | 1 მ. 25 კ. |

**ცალკე ნომერი ყველგან შაურად; დამატებიანი შვიდი კაპეიკად.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ქალაქიდან ქალაქ გარედ, ან ქალაქ გარეთისა ისევ ქალაქ გარეთისაზე 40 კაპ., ღირსებას წერილებაში აღრესის გამოცვლა უფასოა. იმ ხელის მომწერმა, რომელიც **სამივე პრემიის** მიღებას მოისურვებს, გასაგზავნ ხარჯად უნდა გამოგზავნოს ხელის-მოწერის ფასთან ერთად კიდევ **სამი აბაზი**. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

**ხელის მოწერის პირობები:** 1) წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი (8 მან. 50 კაპ.) შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით, მხოლოდ აუცილებლად შემდეგს ვადებზე: ხელის მოწერისათანავე 3 მან., 1 აპრილამდე 2 მ., 1 ივნისამდე 2 მან., 1 ენკენისთვემდე 1 მან. 50 კაპ., 2) გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა გამართულია:** 1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა დილით 9—3 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა-უქმეებისა. 20 დეკემბრიდან კი ღია იქნება: დილის 9 ს.-დან საღ. 8 ს.-მდე, კვირაობით და დღესასწაულებში დილ. 11 ს.-დან ნაშუადღევის 3 ს. 2) ქ. შ. წ.-კ. გამავ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახ. ქუჩაზე.

**ფოსტის ადრესი:** Тифлисъ Груз. газ. „Сахалхо Газети“ поч. ящ. 190.

---


## საჯარო ლექცია

[ოთხშაბ]ათს, 4 იანვარს 1914 წ. პეტერბურგის ფსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტის და ქალთა უმაღლეს კურსების პროფესორი ვ. ნ. სპერანსკი არტისტიულ საზოგადოების დარბაზში წაიკითხავს საჯარო ლექციას შემდეგ თემაზე:

### „დედაკაცის ბედის წერა“

დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ანონსი: 10 იანვარს შესდგება მეორე საჯარო ლექცია **პროფესორ** სპერანსკისა შემდეგ თემაზე: „**ჩვენი დროის ფაუსტები და მეფისტოფელები**“. ბილეთები ღირს 50 კ. 2 მ. 50 კ. და ამ თავითვე იყიდება არტისტიულ საზოგადოების დარბაზში შესასვლელთან. 913

### „ახალი კლუბის“ საბჭო

[აცნობ]ებს ბ-ნთ წევრთა და მუდმივ მოსიარულეთ, რომ მ[ათ] წევრთა და მუდმივ მოსიარულეთ, რომელთაც 1914 წლისათვის საწევრო ბილეთები არ [აუღიათ] განახლებიათ და აგრეთვე ყველა მათზე დარჩენილი კლუბის ვალი არ [გადაუხდიათ] უნაღდებიათ, წესდების მე-9 § ძალით, უფასოდ კლუბში შესვლა 1914 წლის 1 იანვრიდან აეკრძალებათ. 1585

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

### სამკურნალო

საწოლი ოთახებით

### მიხეილ გედევანიშვილისა

[ავადმყოფ]ებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 [სა]ათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

### ტფილისის კერძო სამკურნალო

[მიქ]ხეილის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მიტცელის სასტუმროს ახლოს.

ტელეფონი № 590

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით. ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილებით.

[მოარ]ულიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| [შინ]აგანი [სნ]ეულებ. | **მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს.<br>**ფიდლეროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. |
| [ქი]რურგ. [სნ]ეულებ[ა]ნი. | **მარკოვიჩი მ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| [ქა]ლთა და [სა]მშობ. [სნ]ეულებ[ა]ნი. | ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| [ბ]ავშვთა [სნ]ეულებ. | **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფიდლეროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| [ვენ]ერიულ. [სნ]ეულებ. [ყე]ლექ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოევი გ. ს.** ყოველ დღე 1—2. |
| [ყე]ლ. ყურის და [ცხ]ვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. |
| [ნერ]ვულის [სნ]ეულ. | **მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| [თვ]ალ. და [ყ]ურ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. [და]წყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და ჯილების კატეტერიზაცია, [„6]06“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აც[რა], ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. 1486

### ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

საყმაწვილო წიგნები:

| | |
|---|---|
| ყვავილთა შორის, წ.-კ. გამოც. ფასი | 45 კ. |
| მამის ერთგული, „ | 15 „ |
| სვინის გვირგვინი, „ | 15 „ |
| მერცხალი, „ | 10 „ |
| მოთხრობანი, დ. კლდიაშვილისა, | 30 „ |
| საყმაწ. მოთხრობ., ე. გაბაშვილისა, | 30 „ |
| ბუს თავგადასავალი, | 20 „ |
| ბუნების მოვლენანი, | 5 „ |
| დონ-კიხოტი, | 25 „ |
| ხუმარა სპილოები, | 20 „ |
| კეთილი ძაღლი, | 20 „ |
| სოფელი კურთხეულა, | 3 „ |
| ცხოვრების გზა, | 2 „ |
| მოთხრობათა კრებული, ნათ. ყიფ. | 3 „ |
| ოქროს ფული, | 2 „ |
| ცხოველების გამრავლება, | 25 „ |
| ლომ-კაცი, | 25 „ |
| ცხოველები და მცენარენი ცხელ ქვეყნებში, | 35 „ |

ახლად მიღებული სამეცნიერ. წიგნები.

| | |
|---|---|
| Характеристики и воспоминанія, І. М. Тумановъ, | 1 м. 50 к. |
| Новая лингвистическая теорія, Меликсетъ-Бековъ, | 10 „ |
| Къ вопросу о настоящемъ имени, просвѣт. Грузіи, მისივე, | 25 „ |
| ქება თამარ მეფისა, ს. კაკაბაძე, | 30 „ |
| ქება დავით მეფისა, „ | 30 „ |
| ხონის საუდრის დავთარი „ | 20 „ |
| სალიპარტიანოს დავთარი, „ | 40 „ |
| დიდი ალექსანდრე მეფის თარიღი, | 10 „ |
| მცნება სარჯულო, | 15 „ |
| მეფის კურთხევის წესი, | 10 „ |
| სალექსიკო რვეულებისთვის, | 10 „ |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас.

ზუბალაშვილის სახალხო სახლთან არსებული

### ქართული წარმოდგენების მმართველი წრის

## გამგეობა

უმორჩილესად სთხოვს ყველა

### იმ ინტელიგენტ სცენის მოყვარე ქალებს და ვაჟებს,

ვისაც სურვილი აქვს სცენაზე მოღვაწეობისა, გაუწიონ დახმარება აღნიშნულ წრეს და მიიღონ მონაწილეობა წარმოდგენის მართვის საქმეში. გამგეობა დარწმუნებულია, მის მოწოდებას უყურადღებოდ არ დასტოვებენ და მსურველნი ჩაეწერებიან წრის კანტორაში, მიხეილის პროსპექტი № 102, **რეჟისორ ალ. წუწუნავასთან**, ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან. 1652

**1914 წ. მიიღება ხელის მოწერა საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ**

წელიწ. მეათე. **„ნაკადული“** წელიწ. მეათე.

(1914 წ. 1-ლ იანვრიდან 1915 წ. 1-ლ იანვრამდე).

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2.

ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა:

**მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი, მოზრდილთათვის 12 წიგნი.**

**36 სურათი**, წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებული. ჟურნალშიაც მოთხრობები და სამეცნიერო წერილები დასურათებულია.

**საჩუქრად ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი:**

**„მიწის ძვრა და ცეცხლის მფრქვეველი მთები“,**

(მრავალი სურათებით), **გადმოკეთებული ანთელაძისა.**

**ჟურნალს ხელმძღვანელობას უწევს საგანგებოდ არჩეული კომისია.**

ფასი ჟურნალისა: ორივე გამოცემა წლიურად—5 მ., ნახევარი წლით—3 მ., საზღვარ-გარედ—7 მ., ნახევარი წლით—4 მან., მცირე წლოვანთათვის ცალკე 3 მ., მოზრდილთათვის—3 მ. ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. **ხელის-მოწერა შეიძლება:**

**ტფილისში: „ნაკადულის“** რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, Редакція „Накадули“, Головинскій просп. № 8, და წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან, **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათუმში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან და ანასტასია ლომინაძესთან. **თეთრწყაროში** და **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასო აბელდიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში**—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ქიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში**—ბ. ამბოკაძესთან, **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან, **ყარსში**—ივ. საათაშვილთან, **ალექსანდროპოლში**—ს. შატბერაშვილთან, **როსტოვში**—მ. გლიმიაშვილთან, **ხონში**—მ. ი. ჰავჰანიძესთან.

ვთხოვთ ხელის მომწერლებს, ადრესი **გარჩევით** დასწერონ, თუ ჟურნალი არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და დროზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.

1631 **რედაქტორი ნ. ნაკაშიძე. გამომც. თ-დ პ. თუმანიშვილი.**

**ტელეფ. № 795.** **ქართული თეატრი** წარმოდგ. № 51.

**ოთხშაბათს, 1 იანვარს,**

ქართ. დრამ. საზ. დასის მიერ ვ. აბაშიძის და დამსახ. მსახიობის კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:

### ყაჩაღი არსენა

დრამა 3 მოქ. ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძე). **მონაწილეობენ:** ქ-ნნი: დავითაშვილი, ჩერქეზიშვილი. ბ-ნნი: აბაშიძე, არადელი-იაშვილი, გუნია, გომელაური, იმედაშვილი, სარაული, ყიფიანი, ციციშვილი, შალიკაშვილი.

**დასაწყ. საღ. სწორედ 8 ს.**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი **მ. ქორელი.**

ანონსი: ნზადდება წარმოსადგ.: ჩრდილოეთის გმირნი, უგვირგვინო მეფენი, (გიორგი სააკაძე), დონ კარლოსი და სხვ.

ადმინ. ქართ. დრამ. საზოგ.

**ხუთშაბ., 2 იანვარს, 1914 წ.**

**ქართული თეატრის დაარსების 64 წლის თავის აღსანიშნავად**

გამართება

**სადღესასწაულო წარმოდგენა.**

**თ-დი ი. მარათაშვილი წაიკითხავს რეფერატს.**

2) ქარ. დრ. საზ. დასის მიერ წარ. იქნ.:

### დავა, მე-4-ე მოქმ. გ. ერისთავისა.

3) მეოთხედ ახალი ორიგინალური პიესა **ი. გედევანიშვილისა:**

### სინათლე,

3 მოქმ. და 7 სურათად.

**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.**

**დასაწყ. საღ. სწორედ 8 ს.**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.**

1648 ქართ. დრამ. საზ. ადმინ.

**გამოვიდა და იყიდება ნოტებზე გადაღებული ლექსი.**

## გენაცვალე

[ს]ურ. **ი. სარაჯიშვილის** და **ი. გრიშაშვილის** სურათებით. **ფასი 25 კაპ.**

### გორის პირველი კერძო

## სამკურნალო

**ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.**

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

**გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:**

**კობერიძე მ. ს.** ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

**წინამძღვარიშვილი მ. დ.** შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.

**მესხიშვილი ს. ს.** ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**ბრიუკნერი მ. გ.** თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

**გინზბურგი ა. ლ.** კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

**რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.**

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს ამ ცოტა ხანში ექნება მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის Wasserman-ი. **წამლობა „606“, „914“.** 1604

**ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა გ. მეჯრაბიანცი**

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**—და გულისა. შეთანაწყობილი სპეციფიური **ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტორაქსი. რენტგენის ელვარებური სხივებით ფილტვებისა და გულის გამჭვირვება.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

**9—10 სათ. ღარიბებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

მოულოდნელის უბედურებით დატანჯული ქვრივი იულია ლუკას ასული ბაგრატიონისა დაობლებულის შვილებით მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ თავისი ძვირფასი მეუღლის

## სოლომონ ბაგრატიონის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დანიშნულია დღეს 31 დეკემბერს დილის 10 საათზე (კობიისა და გუდაურის შესახვევი № 2). ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაზე. წირვის შემდეგ წაასვენებენ კუკიის სასაფლაოზე დასაკრძალავად. 918

ღრმად დამწუხრებულნი სიდედრი დესპინე კანდელაკისა, ცოლის დები: იულიტა კალანდარიშვილისა შვილებით კუკური და ბგნესათი, ბარბარე ჭელიძისა, და ხონა ჯაფარიძისა, ცოლის ძმები: დეკანოზი ერმალოზ კანდელაკი და პეტრე კანდელაკი, ქვისლები: დიმიტრი კალანდარიშვილი, ფილიპე ჭელიძე, და ნიკო ჯაფარიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

## სოლომონ გიორგის ძის ბაგრატიონის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება დღეს, 31 დეკემბერს, დილის 10 საათზე, (კობიისა და გუდაურის შესახვევში № 2), ვერაზე, წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში. წირვის შემდეგ წაასვენებენ კუკიის სასაფლაოზე დასაკრძალავად. 919

დამწუხრებულნი დები სონა თურმანიძისა და მაშო დავიდოვისა. სიძეები მალაქია მაქსიმეს ძე თურმანიძე და ირაკლი ქაიხოსროს ძე დავიდოვი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

## სოლომონ გიორგის ძის ბაგრატიონის

მოულოდნელ გარდაცვალებას. გამოსვენება დანიშნულია დღეს 31 დეკემბერს დილის 10 საათზე (კობიისა და გუდაურის შესახვევი № 2). ვერაზე წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაზე. წირვის შემდეგ წაასვენებენ დასაკრძალავად კუკიის სასაფლაოზე. 920

## ახალი კლუბი

31 დეკემბერს 1913 წ. ვ. გ. ვალერიანოვის რეჟისორობით დაიდგმება

1) **მეფე ლხინოზს**

ოპერეტკა 1 მოქ. ნათარგ. ალტსინისა, მუსიკა ნელსონისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი პრესინსკისა, ოსეტროვა, ერნი. ბ-ნნი ვალერიანოვი, საბინი, ანტონოვი, ოსეტროვი.

ლოტბარობს პრესმანი.

2) **რაც გინახავს, ველარ ნახავ,**

თხზულ. ავქ. ცაგარლისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი ... ხარული, აბაშიძე, პერეტა, ჯავახიშვილისა, მაჭავარიანისა, თოიძე, ახათიანი. მამულაშვილისა. ბ-ნნი: აბაშიძე, იმედაშვილი, გომელაური, იორდანოვი იმხნელი, სტუმრები და ქეზურნეები. დასაწყ. სად. 8 ს

ღამის 12 ს. აპოთეოზი „1914 წ."

12 საათის შემდეგ კაბარე. სერთო ვახშამი 1 მ. 50 კ. ვახშმის დროს ... ნ. კვიმძის ხორო, დაუკრავენ სიმებიანი და სამხედრო მუსიკები, აგრეთვე დუდუკი. 1635

## სამკურნალო

### სპეციალისტ-საექიმო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ.ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

**ამილახვარი.** შინაგანი სნეულ. ბავშვებისა. ყოვ.-დღე 2—3 ს.

**ბელიაშვილი.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

**ბოგუცკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**— შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვორობიოვი**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა სამშაბ., ხუთშაბ.. შაბ. და კვირ. 4—5 ს.

**შამაში.** სალოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

**გრიგორიანი** ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნ.ხ.—11 ნ.ხ. საათ.

**ახპიტოვი**— ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად ყ.-დღე 1—3 ს.

**რუდენკო.** შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3 4 ს.

**მტენიანცი.** ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

**ი. ბ. ჩუდნოვსკი.** ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

**მხიტარიანი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

**ნოვიცკი.** ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

**კალამქაროვი.** ბებია, ქალური სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**ექ. ქალ. თოხულიანი.** ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

**გეინაცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

**ხოდნევი**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

**ბაგდოევი**—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**სათვალეების არჩევა.**

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

## ექიმ ლ. ლ. გოცირიძის საკურნალო ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებია და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1608

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს, ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3. სახ ჯაბაშვილისა.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** 15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ. დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

## ვაზნის ქუჩის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაზნის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ხ. გაშაკაძე.** ყოველ დღე, შინაგანავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. წ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**გ. ა. მოსიძე,** ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

**ექ. ქალი თოხულიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**მ. მ. კალდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით 1462

## საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმთრხილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

**ქ. გორში**

## ექიმი მ. დ. წინამძღვრიშვილი (დოკტორანტი)

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

## ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 737.

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს სიფილისს, თეთრ ტარსა ... ganოთა, ათაშანგისა ... ავადმყ. გახსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კირონის ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე.** გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

**ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

**ექიმი კბილისა პ. მ. ჟუჟულია-კუხალაიშვილი** გადავიდა ქსენიევის ქუჩაზე № 7, სადაც ტფილისის კერძო სამკურნალოა მიხაილოვის პროსპექტისა და სასტუმრო ვეტცელის ახლო. იღებს დილით 9—2 საათ. საღ. 4—7 ს-მდე. 872

## ქართული პრესა

„ბათუმის გაზეთი" ეხება ქართლში სამხედრო-სავარჯიშო ადგილისათვის რამდენისამე სოფლის აყრის საქმეს, რომლის შესახებ დაწვრილებითი ცნობები იყო ჩვენს გაზეთში:

„ქართულმა გაზეთებმა აღნაშნეს, რომ სამხედრო უწყებას განუზრახავს შუა-გულ ქართლში, გორის 'იახლოვეს შეიძინოს საამილახვრო მამული, სახელდობრ „ტირიფონის ველი" და მისი ახლო-მახლო ადგილები, სიგრძესიგანე 15—20 ვერსტი. ეს ადგილი თურმე მთავრობას სჭირია პოლიგონისათვის. პოლიგონი ეწოდება ისეთ ადგილს, სადაც ჯარს ავარჯიშებენ და ალლუმებს მართავენ. განზრახვა ჰქონიათ ხსენებულ ადგილას ააგონ ყაზარმები მთელი თავიანთი მოწყობილობებითა და დააბინაონ 100 ათასი ჯარის კაცი. ეს საქმე სხვათა შორის მოითხოვს თორმეტი სოფლის, ექვსასი კომლის აყრას. ეს ხალხი ქართველი ღარიბ-ღატაკი გლეხკაცობაა, რომელიც მცირე გამონაკლისს გარდა სცხოვრობს სათავად-აზნაურო ადგილებზე. ექვს გარეშეა ჩვენი თავად-აზნაურები სიხარულით გაჰყიდიან მათ ადგილ-მამულებს, რომ ქეიფი გასწიონ და „საქართველოს გაძარცვება" ასურვონ კახური ღვინით ავსებული ყანწებით, მარა ხსენებული თორმეტი სოფლის 600 კომლი გლეხკაცობა კი მეტად დიდ განსაცდელში ჩავარდება. ნუ თუ სხვა თავისუფალი ადგილი ვეღარ გამონახა სამხედრო უწყებამ პოლიგონის გასამართავად? თუ იგი ანგარიშს არ უწევს საუკუნოებით დასახლებულ ხალხის ყოფა-ცხოვრებას და კეთილდღეობას. საჭიროა, თუ რამე მოხერხდება იღონონ ქართველი საზოგადოების წარმომადგენლებმა".

ტირიფონის ველის საკითხი მეტად მძიმე საკითხია, და თუ ჩვენში რაიმე საზოგადოებრივი აზრი არსებობს, საჭიროა დროზე ხმა ამოიღოს და შეეცადოს საქმის.

**ჩვენი გაზეთის საახალწლო ნომერი იქნება 12 გვერდი გაზეთში დაბეჭდილი იქნება შემდეგი წერილები: 1) 1913 წელი ჩვენში, 2) ჩვენი კულტურული დაწესებულებანი, 3) რუსეთის ცხოვრება, 4) უცხოეთის ცხოვრება, 5) მუშათა ცხოვრება, 6) ქართული პრესა, 7) კოოპერაცია ტფილისის გუბერნიაში, 8) ტფილისის ქალაქის თვითმართველობა, 9) თეატრი და ხელოვნება, 10) კრიტიკული ესკიზები, 11) ჩვენი დღენი და გზანი, და სხვა. გაზეთის დამატებაში დაიბეჭდება: მოდელი ა. ჯორჯაძის ძეგლისა და 15 სურათი ახალი ქართველი მწერლებისა.**

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **საქართველოს ეგზარხოსი** ალექსი ახალწლიწად დღეს მწირველი ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში.

✦ **გუბერნატორი** სთხოვს თავის ხელქვეით მოხელეებს, რომ ახალწელიწად დღეს მასთან ოფიციალურად არავინ მიულოცოს.

✦ **პოლიტეხნიკუმის** შენობის საქმეთა გამო მაჟავარ საპოლიტეხნიკუმო კომიტეტის მოწვევით ტფილისს ჩამოვიდა პოლიტეხნიკუმების შენობის აგების საქმის მცოდნე ინჟინერი ბ. ს. როგუისკი.

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრებები 1914 წელს მოხდება: 13 და 27 იანვარს, 10 და 24 თებერვალს, 10 და 24 მარტს, 14 და 28 აპრილს, 12 და 29 მაისს, 2 ივნისს, 15 და 29 სექტემბერს, 13 და 27 ოქტომბერს, 10 და 24 ნოემბერს და 8 და 22 დეკემბერს.

✦ **სასოფლო მეურნეობა.** სასოფლო მეურნეობის ინსპექტორის ტიმოფეევის თავმჯდომარეობით ტფილისში დაიწყო სპეციალისტთა კრებები მომავალი წლისთვის სააგრონომიო ღონისძიებათა შესამუშავებლად.

✦ **ბეითალთა მესამე კრებაზე** (ხარკოვში) კავკასიის საბეითალო ოლქიდან 15 წარმომადგენელი გაიგზავნა.

✦ **ვერის ხევის** (ოლგას ქუჩასა და ვერის ხიდის შუა) მოწესრიგების საქმე ქალაქის გამგეობამ ინჟინერ ლისიციანს მიანდო.

✦ **მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოების ბიბლიოთეკის სასარგებლოდ** 3 იანვარს ქართულს თეატრში საბავშვო წარმოდგენა გაიმართება.

✦ **ქართველ ქალთა საზოგადოების** გამგეობა დიდის ამბით ემზადება იმ საღამოსთვის, რომელსაც 14 იანვარს, ნინოობა დღეს, მართავს ქართულს თეატრში. საღამოში მონაწილეობის მისაღებად გამგეობა იწვევს აკაკის, ვაჟა-ფშაველას, კიტა აბაშიძეს და სხვებს.

✦ **მინდვრის თაგვი.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სასტატისტიკო ბიუროს ცნობით ტფ. მაზრის სოფ. ახალ ნიკოლოზშენში მრავლად გაჩენილა მინდვრისთაგვი.

✦ **კავკავი.** 26 დეკემბერს ქართულს სკოლაში გამართულმა ქართულმა საღამომ დიდ-ძალი საზოგადოება მიიზიდა—შემოსავალი 3000 მანეთამდის იქნებოდა. საღამომ საუცხოვოდ ჩაიარა.

✦ **უხვი შეწირულება.** კნეინა ელისაბედ ნიკოლოზის ასულმა მუხრანსკისამ საქართველოს ეგზარხოსს პირადად გადასცა ასი თუმანი მცხეთის ტაძრის შესაკეთებლად. ეგზარხოსმა შემწირველს მხურვალე მადლობა გადაუხადა და იმედი გამოსთქვა, რომ ამ კეთილ მაგალითს სხვებიც მიბაძავენ.

✦ **სამეურნეო სტიპენდიები.** ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, ოთხის წლის განმავლობაში წელიწადში თითო სტიპენდია დააარსოს სამეურნეო სასწავლებლებში მოსწავლეთათვის. პირველი სტიპენდია განთავისუფლდება 1914 წლის 1 იანვარს, მეორე-1915 წლის 1 იანვარს, მესამე-1916 წლის 1 იანვარს და მეოთხე-1917 წლის 1 იანვარს. ამ რიგად ოთხის წლის შემდეგ მუდმივად იქნება ოთხი სამეურნეო სტიპენდია. სტიპენდიანტს თვეში 25 მან. მიეცემათ. კანდიდატი სტიპენდიის მისაღებად ქართულმა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ უნდა დაასახელოს და შემდეგ თვით წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობამ დაამტკიცოს. პირველი სტიპენდია, რომელი 1914 წლის 1 იანვარს განთავისუფლდება, უნდა მიეცეს უთუოდ უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლის მოწაფეს. გუშინ წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ ეს ამბავი აცნობა ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას და სთხოვა, კანდიდატი ახლავ დაასახელოს, რადგანაც გამგეობამ სტიპენდიები 7 იანვარს უნდა გაანაწილოს.

✦ **დოქტორი ფილოს.** ლეიპციგის უნივერსიტეტის მოსწავლემ ტიტე მარგველაშვილმა უკვე გამოცდანი ჩააბარა პროფესორებს და მიიღო ფილოსოფიის დოქტორობა.

✦ **ქალაქის საბჭოს კომისიების.** წევრებს სამსახურის ვადა გაუთავდათ. ახალი არჩევნები მოკლე ხანში უნდა მოხდეს. ამ კომისიებში კანდიდატების დასასახელებლად ამას წინად საბჭომ სარეკომენდაციო კომისია აირჩია სხვა ხმოსნებისაგან. კომისიამ უკვე შეადგინა სია სასურველ კანდიდატებისა. აღსანიშნავია, რომ ხმოსნები პ. ა. გოთუა, ა. ს. ბაბოვი და ი. გ. სულაბერიძე არც ერთ კომისიაში არ არიან დასახელებულნი, თუმცა ეს ხმოსნები აქამდე მრავალ კომისიაში იღებდნენ მონაწილეობას და ბევრსაც მუშაობდნენ. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ხმოსანი ბაბოვი ამ სამის წლის წინად ადმინისტრატიულის წესით იყო გადასახლებული და როგორც კი ტფილისს დააბრუნეს, საბჭომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა ა. ს. ბაბოვი ხმოსნის წოდებაში აღედგინათ, როგორც საუკეთესო მუშაკი და ნაყოფიერი მოღვაწე, ამიტომ საკვირველია, რომ ამ ხმოსანს არც ერთს კომისიაში მუშაობის საშუალებას არ აძლევენ. ამ გარემოებას ბევრი იმით ჰხსნის, რომ ხმოსანმა ბაბოვმა უკანასკნელ ხანს მეტად სასტიკად გაილაშქრა ქალაქის გამგეობის მოქმედების წინააღმდეგ ამითივე უნდა აიხსნას ისიც, რომ პ. ა. გოთუაც გამორიცხეს კომისიების წევრთა კანდიდატების სიიდან.

✦ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ 29 დეკემბერს („სიმართლის" წარმოდგენის შემდეგ) ქართულ თეატრის გამოსავალთან **უპატრონოდ** **საფულე.** მპოვნელი სთხოვს დამკარგველს საფულე მოიკითხოს შემდეგის მისამართით: **ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 7, ბერიშვილი.**

✦ რედაქციამ მიიღო ზ. ჭიჭინაძის გამოცემული ახალი ქართული წიგნი **„ისტორიული სურათები ვახუშტის ისტორიის".** ფასი 1 მ. წიგნში ჩართულია ქართველთა მეფეთ და წმინდანთა 32 სურათი მოკლე ცნობებით.

✦ რედაქციამ მიიღო ქ. თავართქილაძის შედგენილი 1914 წ. **კედლის კალენდარი.** ფასი 40 კ.

✦ დღეს, საზოგადო კლუბში, საღამოს 8 საათზე მოსკოვის უნივერსიტეტის პრივ. დოც. **ვ. ტოტომიანცი** წაიკითხავს რეფერატს **„კოოპერატიული საქმე".** რეფერატის მერე გაიმართება საუბარი და სამუსიკო განყოფილება.

✦ გვთხოვენ გამოვაცხადოთ: მეტად გაჭირვებული, წვრილშვილიანი—ადამიანი, რომელსაც ექვსი შვილი ჰყავს და ექვსივე სნეულია თხოულობს კეთილმოქმედთაგან შემწეობას. მისამართი არსენალის ქუჩა № 14, **ანნა ალექსანდრეს სული სულხანიშვილი.**

### საზოგადოებანი და კრებები

✦ **კავკასიის საისტორიო საზოგადოების** კრება 27 დეკემბერს მოხდა. ამოირჩიეს: თავმჯდომარედ—ნ. მ. ტურბოვიჩი, მის მხანაგებად—ს. დ. ჯაფარიძე და ა.ს. ხიმიშქიანი, მდივნებად—ბ-ნნი ... შვილი და გალუსტიანი, ბიბლიოთეკის გამგედ—ბ-ნი დამასკიანი და ხაზინადრად—ბ-ნი წოვიანოვი.

✦ **ქართულ სიტყვა-აზმულ მწერლობის საზოგადოების** კრება, რომელიც უნდა მომხდარიყო ორ იანვარს დეპუტატთა საკრებულოში სხვა დროისთვის გადიდო. ეს დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

### სომეხთა ცხოვრება

✦ **შეწირულობა.** შუშაში გარდაცვლილმა 80 წლის მოხუცმა აიდინიანმა 600 მან. დაუტოვა სომხურ სკოლებს და 200 მანეთი მაჰმადიანთა მეჩეთს და მოწაფეებს.

✦ ექიმმა კოსტანამ სმირნაში (ოსმალეთი) ოთხი სახლი უანდერძა სომხის საქველ-მოქმედო კავშირს.

✦ შალამიანცის ქვრივმა პიატიგორსკში ხუთი ათასი მანეთი შესწირა ადგილობრივ სომხურ ეკლესიას იმ პირობით, რომ ამ ფულის სარგებლით სტიპენდია დანიშნოს გიმნაზიაში.

✦ ამ დღეებში მ. პაპაჯანოვმა ბაქოს სომეხთა საზოგადოების წევრებს მოხსენება წაუკითხა სომხეთის რეფორმების შესახებ, და ბევრი საყურადღებო რამ აუწყა დამსწრეთ. პაპაჯანოვი ტფილისში ჩამოვიდა. შემდეგ ბაქოში გაბრუნდება და იქ წაიკითხავს მეორე მოხსენებას მიწის საკითხის შესახებ ამიერკავკასიაში.

### გორი.

✦ მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს ახლად გამშვენიერებული (ცნობილ ქველმოქმედე ძმ. ზუბალაშვილების ხარჯით) ადგ. კათოლიკეთა ეკლესია. გარედან სამუშაო სრულიად დამთავრდა. სამუშაო თითქმის დამთავრებულია შიგნიდანაც, აკლია მხოლოდ იატაკის დაგება და მხატვრობა. ფრესკების დასახატავად, როგორც გადმომცეს, მოწვეულ იქმნება ერთ-ერთი ცნობილი მხატვარი. იმედი აქვთ ეკლესია მალე იქმნება მაისისთვის.

✦ ამ დღეებში აქ რუსეთიდან ჩამოსვლენ მეხუთე კურსის სტუდენტ-ტექნოლოგი პ. ზუბალაშვილი.

## დედა-ენის სწავლება რკინის გზის სკოლებში

(წერილი ხაშურიდან).

დედა-ენის სწავლება ჩვენებურ სკოლებში, როგორც უწყით, საზოგადოდ არა ნორმალურ მდგომარეობაშია ჩავარდნილი ამ უსაჭიროესი საგნის სწავლება მთავრობას მეტ ბარგად მიაჩნია, არავისთვის სავალდებულო არ არის, მხოლოდ პირსაფეროდ თითო-ორ-ორი გაკვეთილი აქვს დათმობილი კვირაში და თანაც ისეთ დროს, როცა მოწაფენი დაღლილნი არიან წინა გაკვეთილებზე მეცადინეობით; ერთი კლასიდამ მეორე კლასში გადასვლის დროს ქართული ენის ცოდნას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და, სხვა საგნებში თუკი კარგი ნიშნები აქვს მოწაფეს, დაუბრკოლებლად გადაჰყავთ, თვით მასწავლებელი ქართული ენისა მოკლებულია ყველა იმ უფლებებს, რომლებიც ყველა სხვა საგნების მასწავლებელთ აქვთ მინიჭებული კანონით. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, მოწაფეები გულგრილად ეპყრობიან დედა-ენის შესწავლას და ხშირად გაურბიან ქართული ენის გაკვეთილებს, რადგან კარგად იციან, რომ ასეთ საქციელს არავინ არ უსაყვედურებს მათ.

თუმც ეს ასეა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცუდად თუ კარგად, სახალხო და სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლება არსებობს და, როცა ყმაწვილები სკოლიდგან გამოდიან, წერა-კითხვა მაინც იციან დედა-ენაზე. ჩვენებურ რკინის-გზის სკოლების ქართველი შეგირდები ამ უმცირეს ბედნიერებასაც კი მოკლებულნი არიან. ავიღოთ მაგალითად რკინის გზის სკოლა, რომელიც ხაშურში არსებობს.

ამ სკოლის მოსწავლენი უმეტესად რკინის გზის ღარიბ მოსამსახურეთა შვილები არიან, როგორც ვაჟები, ისრე ქალები. სკოლაში სულ 600 ყმაწვილი სწავლობს; მათგან 500 ქართველია. მიუხედავად ამისა ამ სკოლაში ქართული ენის სწავლების ხსენებაც კი არ არის. ცხადია, დაარსებიდან ეს სკოლა რავდენიმე ათასს ქართველ ბავშს დაუსრულებია, მაგრამ ისე, რომ დედა-ენა სრულიად არა სცოდნია! ამაზე მეტი უზრუნველობა და უყურადღებობა მოსწავლეთა საჭიროებისადმი, ვგონებ, წარმოუდგენელი უნდა იყოს. ასეთ სკოლებში რუსულ ენასაც ხომ ისე კარგად ვერ ითვისებენ ქართველი ყმაწვილები, რომ ლაპარაკი და წერა-კითხვა ცხოვრებაში გამოიყენონ და მალე არ დაავიწყდეთ, რადგანაც არც ოჯახში და არც სოფლის საზოგადოებაში ეს ენა ხმარებაში არ არის. უპირველესი პრაქტიკული სარგებლობა იმ ცოდნისა, რომელიც ჩვენებურ ყმაწვილებს დაბალი სკოლიდამ გამოაქვთ, ის არის, რომ შეეძლოთ მათ დედა-ენაზე წიგნაკების კითხვა და, როცა საჭიროება მოითხოვს, ბარათის მიწერა მშობლებთან, ნათესავებთან და ნაცნობებთან, მაგრამ სწორეთ ეს არ შეეძლებათ იმათ, რომლებიც ისეთ სასწავლებლებს ათავებენ, როგორიც ხაშურის რკინის გზის სკოლაა, რადგანაც დედა-ენა სრულებით არ იციან.

ასეთ სამწუხარო მდგომარეობას დიდი ხანია კარგად ჰგრძნობენ იმ ქართველი ყმაწვილების მშობლები, რომლებიც მოხსენებულ სკოლაში სწავლობენ, მაგრამ შველა არსაიდან არის. ეხლა კი, როგორც ამბობენ, იმ გზას დასდგომიან, რომ მიართვან თხოვნა სკოლის სამრეწველო კომიტეტს, იშუამდგომლოს რკინის გზის უფროსის წინაშე, კეთილ ინებოს, მიაქციოს ყურადღება მათი შვილების მდგომარეობას და შეიტანოს სკოლაში ქართული ენის სწავლება. მაგრამ ექნება თუ არა ასეთ თხოვნას კეთილი შედეგი, ვნახოთ.

გ. წყალტუბელი.

## კახეთის სარწყავი არხის საკითხის გამო

წავიკითხეთ ინჟინერის გრ. ქურდიანის წერილი თქვენი გაზეთის № 1076 მოთავსებული. როგორც ავტორი სამართლიანად ამბობს, დროა დავეპატრონოთ, დროზე გავიყვანოთ არხი, თორემ „სხვები კახეთის ქვევით ალაზანს უკვე დაეპატრონებიან, წყალს დაიმტკიცებენ თავისზედა, მერე, რომ ბევრიც ვეცადოთ წყლის მმართველობა ჩვენ ალაზნიდან ერთს ნაკადულსაც აღარ დაგვანებებს".

ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა მოგვარდეს საქმე, თორემ შემდეგ გვიანღა იქნება თითზე კბენანი. საქმე იმაშია, რომ ამ ჟამად საინჟინროში ლაპარაკია და ჩქარა შესდგება კიდეც ამხანაგობა მსხვილ ფულის პატრონთაგან, რომელთაც აზრად აქვთ ალაზნიდან დიდი არხის გაყვანა და სამ უშველებელ თვალ-უწვ

ღენულ მინდვრის სარწყავ მამულებად გარდაქმნა. ეს მინდვრები არიან ალიაზლო, სარიჯა, აჯინაური. დღეს ესენი მარტოოდენ ცხვრის საძოვარ ადგილებად არიან გამოსადეგნი, მაგრამ ჰაერით, ნიადაგის ნოყიერობით და ადგილის სისწორით, რაც მეურნეობისთვის მეტად საჭიროა, ტოლი არა ჰყავთ. აქ რომ წყალი გაიყვანონ, აქაურობა ხალხით გაივსება და სამოთხედ გარდაიქცევა.

გარდა ამისა ალაზნის წყლით სარგებლობა განძრახული აქვთ ნუხის მაზრისათვის. აპირობენ დიდის არხის გაყვანას და ნუხის მაზრაში მდებარე დღეს თითქმის უწყლოობისაგან გამოუსადეგარ მინდვრების მორწყავს და მოხმარებას. ამისათვის აგრონომმაც და ინჟენერმაც უკვე დაათვალიერეს ალაზნის ის ადგილები, საიდგანაც არხის გაყვანაა საჭირო.

არ ვიცი, რა დასკვნას დაადგნენ ერთნიც და მეორენიც, მაგრამ ამას კი ვიტყვი, რომ არხის გაყვანა საინგილოში დღის საკითხია და დღეს თუ არა ხვალ მაინც მოიყვანენ სისრულეში. და აი ამიტომ მეტად საჭიროა, რომ თუ კახეთს სჭირია არხის გაყვანა, ეს საკითხი დროით მოგვარდეს, თორემ როგორც ზემოდ ნათქვამ ინჟენერ ქურდიანის სიტყვიდამ სჩანს, შემდეგში ერთს ნაკადს წყლისასაც აღარ დაგვანებებენ.

**ზ. ედილი.**

## საეკლესიო გალობის აღდგენა ძველ იმერულ კილოზე.

კვირას, 22 დეკემბერს, ქუთაისის საკრებულო ტაძარში მწირველი ბრძანდებოდა იმერეთის ეპისკოპოზი გიორგი. წირვის დროს გალობდა მამა რაჟდენ ხუნდაძის ლოტბარობით მის მიერ ათი გალობის მოყვარულ პირთაგან შემდგარი ქართული გუნდი, რომელმაც პირველად სცადა წირვის წესის გალობა სადა ძველებურ იმერულ კილოზე, ხუნდაძის მიერ შედგენილ ნოტებზე, სამი ხმით. მე თუმცა გალობის მცოდნე არა ვარ, მაგრამ გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ გალობამ, როგორც ჩემზე აგრეთვე გალობის მცოდნე პირებზე დამსწრე საზოგადოებაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და და გაიძახოდნენ ტაძარში, „სწორებით დაგვატკბო დღეს ამ გუნდმაო". ეს ამ დღეს პირველი ცდა იყო, თუმცა ნაკლიც ეტყობოდა, მაგრამ უფრო მეტი ნაწილი საგალობლებისა კი საუცხოვო იყო. ყოვლად სამღვდელო გიორგი მეტად კმაყოფილი დარჩა, უსურვა გუნდს წინმსვლელობა. გუნდს განზრახვა აქვს ხშირად ივარჯიშოს და იგალობოს წირვის დროს, აგრეთვე გაადიდონ თავისი წევრთა რიცხვი და მიიღონ გალობის მოყვარულნი. როდესაც კარგად შეისწავლიან, აზრად აქვთ გამართონ სასულიერო კონცერტები. მადლობის ღირსია ლოტბარი მამა რაჟდენ ხუნდაძე და დამაარსებელი წევრები გუნდისა: რომ მათ უკისრიათ ფრიად სიმპატიური საქმის ინიციატივა; ძველებური იმერული კილო საეკლესიო გალობისა თანდა-თან დავიწყებაში მიდიოდა, იკარგებოდა, სასიამოვნოა რომ ხსენებულ პირთ უკისრიათ ეროვნული გალობის აღდგენა და გავრცელება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქუთაისში თანამგრძნობნი და მსურველნი გუნდში ჩაწერისა აღმოჩნდებიან, რასაკვირველია გალობასთან გაცნობილნი და მისი მოყვარულნი. ჯერჯერობით გუნდს შეადგენენ შემდეგნი პირნი:

ლოტბარი მამა რაჟ. ხუნდაძე, მღვდელი პლატონ ცქიტიშვილი, მღვდელი იასონ კაპანაძე, დიაკონი ბართლომე კუსიანიძე, დიაკონი ფილიმონ ცინცაძე, დიაკონი ონიფანტე ჭიპაშვილი, ბესარიონ მინდელი, დანიელ ბარათაშვილი, იოსებ ლორთქიფანიძე, ევგენი ქარხალაშვილი.

როგორც გადმომცეს მამა რაჟდენს 400 მდე სხვა და სხვა საგალობელი გადაუღია და კიდევ განაგრძობს გადაღებას. სულით და გულით ვუსურვებ მას ასეთი დიდებული საქმის განხორციელებას და კეთილად დაგვირგვინებას.

**ლბდთ ბზვბმელი.**

## წერილი ვარშავიდან

16 დეკემბერს ქართველ სტუდენტთა კრება მოხდა. კრებას დაესწრენ „არჩილ ჯორჯაძის სახელობის კულტურული წრის" წევრნი და არა წევრნიც, განსახილველი იყო სამი საკითხი. ქართული საღამოს გამართვა, თამარ მეფის იუბილეს აღნიშვნა და ილია ჭავჭავაძის სახლის გამოსასყიდ ფულის შეგროვება.

ქართული საღამოს გამართვა კრებამ სასურველად სცნო და ითათბირა იმაზე, თუ რას მოხმარდეს საღამოს შემოსავალი. ყველამ ის აზრი გამოსთქვა, რომ საღამოს მთელი შემოსავალი „არჩილის სახელობის წრეს" მოხმარდეს. კრებამ მიიღო ეს აზრი და აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა საღამოს მოწყობისთვის ტეხნიკური მხარეების შემუშავება. წრის გამგეობის წინადადებით კრებამ დაადგინა თამარ მეფის იუბილეს აღსანიშნავად დაევალოს სტუდენტ ვ. გვილესიანს მოხსენება წაიკითხოს ოქროს ხანის შესახებ კულტურული წრის ერთ-ერთ კრებაზე.

ამას გარდა კრებამ გადასწყვიტა ილია ჭავჭავაძის სახლის გამოსასყიდ თანხის გასაძლიერებლად შეიკრიბოს ფული, როგორც ქართველ სტუდენტების, აგრეთვე ვარშავაში მყოფ ქართველების შორის, ფულის მოკრეფა დაევალა: ტ. ვეფხვაძეს, ვ. ახვლედიანს და კ. ამირაღოვს.

17 დეკემბერს შეიკრიბა ქართულ საღამოს გამართვისთვის არჩეული კომისია იმის გამოსარკვევად, თუ როგორ მოეწყოს საღამოს გამართვის საქმე. კრებაზე გამოირკვა, რომ შეუძლებელია საღამოს მთელი შემოსავალი კულტურულ წრეს მოხმარდეს. ამის მიზეზი ის არის, რომ ქართულ საღამოს გამართვის ნებართვის აღება შეიძლება მხოლოდ უნივერსიტეტის ადმინისტრაციისაგან, უნივერსიტეტის კანონის მიხედვით კი კერძო სათვისტომოს საღამოდან შემოსული ფული უერთდება „საერთო სტუდენტურ საღამოდან" შემოსულ ფულს და ამ საერთო თანხიდან ეძლევა შემწეობა მთელი უნივერსიტეტის სტუდენტებს. რადგან ქართველები შედარებით სხვებთან ძალიან ცოტანი ვართ, ამიტომ ქართული საღამოდან შემოსული ფულის მესამედიც არ შეხვდებოდათ ქართველებს. კომისიამ მიიღო მხედველობაში ეს გარემოება და, რომ არაფერი დამოკიდებულება არ იქონიოს უნივერსიტეტთან, გადასწყვიტა ლექცია მოაწყოს საქართველოს შესახებ. ლექტორად გრიგოლ რიაბაქიძის მოწვევა გადასწყვიტეს.

**ტ. ვეფხვაძე.**

## ახალციხის ამ-ბავი

15 დეკემბერს, ადგილობრივი წ.-კ. ს. განყოფილების გამგეობამ, თვით მმართველობის დარბაზში დაინიშნა კრება, სადაც განყოფილების დამტკიცება უნდა გამოეცხადებიათ, რომელიც თვეზე მეტია ცნობა მიიღო მთავარ გამგეობისაგან. ამასთანავე ახალი წევრებიც უნდა მიეღოთ და უნდა მომხდარიყო დამატებითი არჩევნები გამგეობის წევრთა რიცხვის გასადიდებლად, რადგანაც გამგეობაში ჯერ მხოლოდ სამი წევრია არჩეული. კრება არ შესდგა, რადგანაც პროგიმნაზიაში გამართულმა მშობელთა კრებამ შეუშალა ხელი, რომელიც ამავე დროს იყო დანიშნული.

თავმჯდომარემ მეორედ კვი[...] თვის 22 (დეკემბრისათვის), დანი[...] ესევე კრება. სამწუხაროდ ვერც კრების გამართვა მოხერხდა, რადგანაც გამგეობის წევრნი თავმჯდომარეს გარდა, საშობაო დღესასწაულებში სხვაგან გაემგზავრნენ.

* *

თითქმის ერთი წელიწადი გადის, რაც ჩვენი საზოგადოება ქართულ წარმოდგენებს მოკლებულია.

დიდი იმედი გვქონდა წ. კ. ს. ადგილობრივი განყოფილება გამოიჩენდა ამის უნარს და სამუდამო დრამატიულ წრეს დაარსებდა, მაგრამ ეს დღესასწაულები გამგეობამაც ვერ გამოიყენა.

15 დეკემბერს, პროგიმნაზიის საკუთარ შენობაში, ახალი ინსპექტორის ბ-ნი გ. კარიცკის ინიციატივით მოხდა მშობელთა და ქალაქის „მამათა" კრება, პროგიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს თანადასწრებითა.

კრების ინიციატორმა მოახსენა შემდეგი: პროგიმნაზიის დღევანდელი შენობა ოთხ კლასსაც ძლივს იტევს თუ მეხუთე კლასიც გავხსენით წელს. ამისათვის ბინა არ გვაქვს, და თუ არ გსურთ, მეხუთე კლასი, ჩვენი პროგიმნაზია ოთხ-კლასიანად დარჩება. (თუმცა ექვსი კლასის გახსნის ნება გვაქვსო) და თქვენი შვილების გადაყვანა სწავლის გასაგრძობად სხვა გიმნაზიებში მოგიხდებათ, რაც ხარჯებსაც გაგიორკეცებსთ!.. აი, ამ საკითხისათვის მოგიწვიეთ. ვიცოდეთ, ხსნით თუ არა მეხუთე კლასსა? თუ ხსნით, ბინის შოვნასაც ახლავე საჭიროა შეუდგეთ რომ პირველ სექტემბრამდე მზად იყვესო. ამ საკითხის პასუხი ახლავე უნდა გადასწყვიტოთო.

კრებამ ერთხმივ აღიარა, რომ მეხუთე კლასი უეჭველად უნდა გაიხსნას გაისათ და ამისათვის ბინის შოვნას ახლავე უნდა შეუდგეთო. ბინად ამჯობინეს ისევ თავიანთ შენობას მეორე სართული დაადგან, რომელიც ვარაუდით 12—15 ათასამდე დაჯდება.

ამ თანხის მოსაპოვებლად კრებამ აარჩია დეპუტაცია კარაპეტ ბაიბურთელთან მისაგზავნად იმ 25 ათასი მანეთის მოსათხოვნად, რომელიც მის ბიძას, განსვ. მანუკ ბაიბურთელს ანდერძით შეუწირავს, მისი ქონებიდან მიეცეს ეს თანხა თუ რომ ახალციხეში საშუალო სასწავლებელი გაიხსნებაო.

თუ ვინიცობაა, კ. ბაიბურთელმა სრულიად თუ არა, არც არავითარი ნაწილი ანდერძისა არ მისცეს, ამ შემთხვევაში მთავრობას ნებართვა უნდა გამოსთხოვოს ქალაქმა კერძო [...]წერით ფულის შეკრები[...] [...]გამოსარკვევად კრება 15 [...]დიდ კიდევ დაინიშნება.

**მესხი კ. გვარამაძე.**

## ილიასეულ სახლის

**გამოსასყიდად შემოსწირეს წ.-კ. გამავრცელებელ საზოგად. კიდევ შემდეგ პირებმა:**

| | მ. კ. |
|---|---|
| ნაფ. ვექ. ვ. გ. რუტკოვიჩმა | 25 |
| ნაფ. ვექ. პ. დ. გედევანიშვილმა | 25 |
| თავ. ი. გ. თარხნიშვილმა | 25 |
| გ. ც. მდივანმა | 25 |
| ზ. ზ. მაჭავარიანმა | 25 |
| ნაფ. ვექ. შ. ვ. მესხიშვილმა | 50 |
| კ. დ. მესხმა | 25 |
| ექ. ი კოპაძემ | 25 |
| ექ. ი. დ. ბეგიაშვილმა | 25 |
| კნ. ვ. ჭავჭავაძისამ | 25 |
| თ. კ. ნ. აფხაზმა | 50 |
| თ. ლ. ლ. მაღალაშვილმა | 50 |
| ნიკ. ივ. საგინაშვილმა | 30 |
| რაფ. ნიკ. ყაზბეგმა | 25 |
| თავ. ი. გ. ანდრონიკაშვილმა | 25 |
| თავ. ნ. რ. ერისთავმა | 50 |
| თავ. ი. რ. მაყაშვილმა | 25 |
| ექ. ს ს. ვირსალაძემ | 25 |
| პ. გ. მამრაძემ | 25 |
| ექ. დავ. ალ. გედევანიშვილმა | 25 |
| ქ-ნ მარიამ მ. დოლობერიძემ | 25 |
| ს. გ. ტარიელოვმა | 50 |
| ნაფ. ვექ. ირ. ალ. გუნცაძემ | 50 |
| სულ | 730 |
| წინანდელი | 1060 |
| ჯამი | 1790 |

## მოკლე ამბები

**ერწო-თიანეთის მხარე.** როგორც ამას წინად ვსწერდით, შარშან ხმა გავრცელდა, კოდის პური უნდა მოისპოს და ორ მანეთ ფულზე უნდა გადვიდესო. რამოდენადაც მახსოვს, ეს ამბავი გლეხობასაც უხაროდა და სამღვდელოებაც კმაყოფილი იყო: „ოღონდ მთხოვარსავით კარი-კარს აღარ ვიაროთ და ორი მანეთი იყოსო", ამბობდა სამღვდელოება. სოფლის მამასახლისებს, მომრიგებელ შუამავლებისაგან ბრძანება მოუვიდათ: „მოახდინეთ სოფლის ყრილობა და გამოუცხადეთ ხალხს, რომ თუ სურთ კოდის პურის მაგივრად სამღვდელოებას ორი მანეთი აძლიონ, განაჩენი დაადგინონ ამ ორ-ორ მანეთზედო". ამის გამო ზოგან იძახდნენ: „კაცო, რაკი ჩვენ გვეკითხებიან, ალბად ჩვენი ნება ყოფილა და თითო მანეთზე დავადგინოთ განაჩენიო". ზოგან იძახდნენ: „კაცო, ჩვენ ისევ როგორც ვიყავით ისე გვირჩევნია, მღვდელ-დიაკონს ხან ორი-სამი წლიც გაივლის არაფერი მივსცეთ-რა და როცა მივცემდით, ისიც ხან ქათმით, ხან ინდოურით და ხან რითიმე მოვიშორებთ ხოლმეო". ზოგი იძახდა: „კაცო, რაკი კოდის პურსა სპობენ, შეიძლება არც ორი მანეთის გადახდა გვეკუთვნოდეს. [...] ხელი რომ მოვაწეროთ, მაშინ ძალათაც წაგვართმევენო" და სხვა.

ზოგმა სოფლებმა დაადგინეს განაჩენი ორ მანეთზედ და ზოგგან უარი განაცხადეს. ამ ჟამად საქმე ისე აწეწილ-დაწეწილია მრევლთა და სამღვდელოების შორის, რომ თუ მთავრობამვე წესი არ დასდო რა, მრევლთა და სამღვდელოების შორის უთანხმოება და სიძულვილი უფრო და უფრო გამწვავდება.

ერთს თვეზე მეტია, რაც უკვალოდ დაიკარგა ზემო თიანელი გლეხი გელიაშვილი. გელიაშვილს შინიდან თორმეტი თუმანი ფული წამოუღია ფიცრების სასყიდლად და ცხენით წამოსულიყო. მეორე დღეს, ცხენი შინ მისულიყო და გელიაშვილი კი აღარც ცოცხალი და აღარც მკვდარი აღარსად აღმოჩნდა. პოლიცია, დღესაც განაგრძობს გელიაშვილის ძებნას.

**ქართველი ოსებში ნაცვალი.**

## არეულობა სამხრეთ-აფრიკაში

(დეპ. პეტ. სააგ.)

**კაპშტადტი.** იეგეროფონტეინის ალმასის მაღაროების 900 ადგილობრივი მკვიდრი ქალაქს შეესია, ქალაქს 500 თეთრკანიანი მოქალაქე იცავდა. დამცველთაგანი მოჰკლეს 7 36 დასჭრეს, თეთრკანიანი 12 დაიჭრა. წესიერება აღადგინეს.

**დურბანი.** მთელი ქვეითა ჯარის, კავალერიისა და არტილერიის მობილიზაცია გამოცხადდა.

**პრეტორია.** ოფიციალურს გაზეთში დაბეჭდილია მოწოდება ნატალისა და ორანჟეს მოქალაქეთა მიმართ, რომ ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლიან ჯარში ჩაერიცხოს. სულ გაწვრთნილ ჯარიანად 6000 კაცი იქნება შეიარაღებული.

**იოჰანესბურგი.** დენვერსა და ჯიურჯგონის შუა საფოსტო მატარებელი ააფეთქეს ნაღმით. არავინ დაშავებულა. სამხრეთ-აფრიკის მუშათა პარტიის მდივანი, სარკინისგზო კავშირის მდივნის თანაშემწე და გაფიცვის სამი ხელმძღვანელი დააპატიმრეს. ფქვილის ფასმა 1 შილინგით აიწია. თუ იოჰანესბურგს გზა მოუჭრეს, იქ მცხოვრებთ სურსათი ერთს კვირას თუ ეყოფათ. ვიტგანკის ქვანახშირის მაღაროები დაიკეტა. მთავრობა მილიციებს აღგენს.

**პრეტორია.** როგორც ხმა დადის, ხვალე სამხედრო წესებს გამოაცხადებენ.

**პოტჩეფსტრომი** (სამხრეთი აფრიკა) რკინისგზის მემანქანენი უარს აცხადებენ პოლიციის წაყვან-წამოყვანაზე.

**კაპშტადტი.** რკინის გზის ლიანდაგზე ნაღმით რამდენიმე აფეთქება მოხდა.

**იოჰანესბურგი.** მუშათა კავშირი სამშაბათს კენჭს უყრის საყოველთაო გაფიცვის საკითხს.

## ლევ. ბატონიშვილი

### ოსეთში და ოსეთის ამბოხება

(1810—1811 წ.)

(დასასრული *)

სოფელ მარელეთში სასტიკი ბრძოლა გაიმართა. დილის შვიდი საათიდან დაწყებული საღამოს ხუთ საათამდის არ შეწყვეტილა თოფების სროლა და ხმლების ტრიალი, ორთავე მხრით უკანასკნელ წუთამდის იბრძოდნენ... ძალა აღმართს ხნავს... მეამბოხენი დაიძრნენ, აქეთ იქით მთებში გაიფანტნენ და დასტოვეს ბრძოლის ველზედ 100 მოკლულ გვამი. ამ ბრძოლაში დიდი სიმამაცე გამოიჩინა თითონ მეამბოხეთა მეთაურმა აზნაურმა დურმიშხან ტუსიშვილმა ტუსიშვილი ასი კაცით გამაგრდა ერთ კოშკში, საიდამაც დიდი ზარალი მისცა მტერს. კოშკიდან მისი განდევნა ყოვლად შეუძლებელი გახდა. ბოლოს კოშკი ააფეთქეს, ნანგრევებში დაიღუპა ტუსიშვილი თავისი მეომრებით.[14]

იმ დროს. როცა ლომის ხევში სასტიკი ბრძოლა იყო გამართული, მაიორი პოტლოგი ჯავის ხევით შედიოდა ოსეთში. პოტლოგი თავს წააწყდა ლევან ბატონიშვილის რაზმს, რომელიც მიუვალ კლდეებში გამაგრებულიყო და რუსის ჯარს ელოდებოდა. ლევანსაც ჰყავდა არა 2000 კაცზე ნაკლები მეომარი. დიდი წინააღმდეგობა გაუწია ლევანმა პოტლოგის ჯარს, ხუთჯერ გადაეღობა მას წინ, მაგრამ თითქმის ყოველთვის ძლეული ვინ იცის მაინც რითი გათავდებოდა საქმე, რომ პოტლოგს დროზედ სტალის ჯარიც არ მოშველებოდა. ამ შეერთებულმა ჯარმა ლევანი დაამარცხა და თითქმის კავკასიის ქედამდის უკან დაახევინა. ლევანმა მთის გადმოღმა მოქმედება შეუძლებლად დაინახა და მთას გადაღმა გადავიდა ნარის ხეობაში. აქ კი მისი დევნა ყოვლად შეუძლებელი იყო, რადგანაც ჯარს არ შეეძლო მთების გადალახვა, რომელზედაც მაღალი თოვლი იდო.

ტორმასოვი ამის შესახებ სწერდა სამხედრო მინისტრს, რომ მათი იმპერატორობითი უდიდებულესობის იარაღის ასეთი სისწრაფით გამარჯვებამ ისე შეაშინა და თავზარი დასცა მეამბოხეთ, რომ მათ მიატოვეს საცხოვრებელი და ცოლშვილით გაიხიზნენ მიუვალ ტყეებში, იმ ადგილებში, სადაც ასე მამაცურად მოქმედებდნენ ჩვენები, ოსებს თავის დღეში არ უნახავთ არავითარი ჯარი თავიანთ წინააღმდეგ და დარწმუნებულნიც იყვნენ, რომ იქ ვერავინ ვერ შევიდოდაო. პოლკოვნიკმა სტილმა უკან დაიხია. ლევანის ჯავრი ოსებზე იყარა. გზა და გზა სოფლები ააწიოკა, აახრა და ცეცხლს მისცა. რაც კი გზაში ციხე კოშკები შეხვდა ყველა ააფეთქა, ამით მას უნდოდა სამუდამოდ მოესპო მეამბოხეთა ბუნაგი, რისთვისაც ქვას-ქვაზე აღარ უშვებდა. ასეთმა სისასტიკემ ოსები საგონებელში ჩააგდო, შეშინებულებმა პოლკოვნიკ სტალთან მამასახლისები აფრინეს და შებრალება და პატიება სთხოვეს....

სტალმა აარჩია მათში თორმეტი უფრო გამოჩენილი დეპუტატი და ტფილისს გაგზავნა ტორმასოვთან პატიების სათხოვნელად. ერთ დღეს ოქტომბერში 1810 წ. ტფილისის მცხოვრებნი გახდნენ მოწამენი ასეთი სანახავისა: თორმეტმა ოსების მამასახლისებმა, მოხუცებულებმა და მეომრებმა ტფილისის ქუჩები ფეხით გაიარეს თითონ მთავარ-მართებლის სასახლემდის. მამასახლისებს კისერზე ყველას ხმლები ჰქონდათ ჩამოკიდებული, რაც ნიშანი იყო მათი უდიდესი დამცირებისა და მორჩილებისა.[15]

ტორმასოვმა ხემწიფე იმპერატორის სახელით ყველაფერი აპატივა ოსებს და უბრძანა სტალს ოსეთიდან გამოსულიყო, მხოლოდ სოფ. ჯავაში და სხლებში დაეტოვებინა ორი როტა და ოცი ყაზახი საყარაულოდ.

სტალმა ოსებს ფიცი მიაღებინა ერთგულებაზე და ჩამოართვა პირობა, რომ ისინი უსათუოდ დაიჭერდნენ და გასცემდნენ ლევანს.

ასე და ამ ნაირადო, სწერდა ტორმასოვი პეტერბურგში, მამაც და პუყაით პოლკოვნიკ სტალის შემწეობით ოსებში სრული სიწყნარე ჩამოვაგდეო. ლევანი განდევნილია მთას გადაღმა, ის იქიდან საშიში აღარ არის, და მაქვს იმედი, რომ ის ხელთ ვიგდო თითონ ნარის ოსების შემწეობითო.[16]

მართალია პოლკოვნიკმა სტალმა ლევანი ნარის ოსეთში განდევნა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო მთავარმართებლისათვის, ლევანი მაინც ვერ იგდო ხელში და ვინ იცოდა კიდევ ის რას არ ჩაიდენდა შემდეგ.

ტორმასოვის ფიქრი და აზრი იყო როგორმე ლევანი ეგდო ხელში და ეს კი არ ხერხდებოდა. ნარის ოსეთში შეფარებული ლევანი ამ ზამთარში ხელ მიუწვდენელი იყო მისთვის. არც ძალა, არც ტკბილი წერილები და საჩუქრები არ მოქმედებდნენ ლევანზე. მისი წადილი მხოლოდ საქართველოდან რუსების განდევნა იყო.

ტორმასოვს ეგონა, რომ ლევანი დამარცხების შემდეგ და თანაც ნარის ოსეთში გაჭირვებულ ცხოვრებაში ჩავარდნილი, ეხლა მაინც მოიხრიდა ქედს და ამისათვის უბრძანა გენერალ-მაიორ დელპოცოს წერილი გაეგზავნა ლევანისათვის. ტორმასოვი ჰპირდებოდა, თუ ლევანი თავის ნებით მოვიდა, ყველა დანაშაული ეპატიებოდა და დიდ საჩუქრებსაც მიიღებდა. წერილი ლევანს კურთათინის მამასახლისმა პაპილა ჩალიკოვმა გადასცა. ლევანმა უკანასკნელს მოკლედ უპასუხა: „გრცხვენოდეს შენც და იმასაც ვინც ეს წერილი დასწერა."[17]

ტორმასოვმა ეხლა ლევანის მამას იულონ ბატონიშვილს მიმართა რუსეთში თხოვნით, სწერდა მას, რომ წერილი მოეწერა ლევანისათვის, ეგებ მამის დარიგებას რამე გავლენა მოეხდინა შვილზე. ლევანმა ძამის წერილზე ასე უპასუხა: „მე რომ დედმამა მყვარებოდა, მაშინ მე მათთან წავიდოდი და არა ოსეთში."[18]

რუსეთში გადასახლებას და იქ ფუფუნებაში ცხოვრებას ლევანმა ოსეთში გაჭირვებული ცხოვრება არჩია. ლევანი ნარის ოსეთში დიდ მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა. მეტად ღარიბი იყო და ლევანი აქ პურზე ატარებდა დღეებს. როცა პოლკოვნიკმა ყაზბეგმა გაიგო ლევანის ასეთი გაჭირვება, ლევანს რამდენიმე ახალი თევზი გაუგზავნა ძღვნად. ყაზბეგს უნდოდა ამით ლევანის გული მოეგო, როგორმე ტრუსოვის ხეობაში ჩამოეტყუებინა და ხელთ ეგდო.

ლევანმა რუსების დაუნდობლობით, ზიზღით გადაუყარა ძაღლებს ეს თევზები.[19]

ასევე უნაყოფოდ ჩაიარა ტორმასოვის ცდამ, რომელიც ბოლოს ცდილობდა როგორმე ლევანის ნათესავების შემწეობით ჩაეგდო ხელში. ტორმასოვმა ზურაბ წერეთელსაც სთხოვა დახმარება. ზურაბ წერეთელი მაშინ რაჭის გამგე და მმართველი იყო, რაჭაც მეზობლად მდებარეობს ნარის ოსეთზე და მას ტორმასოვის ფიქრით ადვილად შეეძლო ეს მოეხერხებინა. ზურაბ წერეთელმა სხვა და სხვა ზრდილობიანი მიზეზებით უარი განაცხადა ამაზე.

თავადებმა შანშე და ანტონ ერისთავებმა თავს იდვეს ლევანის დაჭერა. შანშე ერისთავის დასახმარებლად მთელი ბატალიონი ჯარიც იყო მზად, მაგრამ ვერც ერთ თავადს ვერ გაუმართლდა ბრწყინვალე იმედი.

1811 წელს, გაზაფხულზე, რუსეთიდან საქართველოში დაბრუნდა პორუჩიკი თავადი ერემია ბაგრატიონი. ბაგრატიონი ნათესავი იყო ლევანისა, რუსეთიდან წამოსვლისას ნახული ჰყავდა ბატონიშვილი იულონი. ბაგრატიონმა თავს იდვა ნარის ოსეთში წასვლა და იქ ლევანთან მოლაპარაკება. ბაგრატიონს უბედურება ეწია. ლევანს ეგონა თუ ბაგრატიონი გამოგზავნილი რუსის მთავრობისაგან მის მოსაკლავად, ამისათვის არ დაინდო მას. დაიჭირა იგი, გაცარცვა, აწამა და ბორკილებ შეყრილი ყაბარდოში გაგზავნა გასასყიდ. გზაში ბაგრატიონი ოსებმა შეისყიდეს, მერე რუსის მთავრობას დაუბრუნეს, მხოლოდ სამაგიეროდ დაიბრუნეს ერთი თავიანთი მეამბოხეთა მეთაური, რომელიც რუსებს გორის ციხეში ჰყავდათ დატყვევებული.[20]

ტორმასოვი დარწმუნდა, რომ ნება ყოფლობით ლევანთან მოქმედება არ შეიძლებოდა. მან ეხლა ნარის ოსების შევიწროვებას მიჰყო ხელი, რომ ამით ეგებ რამე გამხდარიყო. ერთხელ ქალაქ მოზდოკის ბაზარზე რამდენიმე ნარელი ოსი დაატყვევებინა. ერთი მათგანი უკან დააბრუნა და დააბარა, რომ, თუ ნარელები ლევანს არ გასცემენ, ყველა დატყვევებულნი ციმბირში იქნებიან გაგზავნილნიო. ამ გარემოებამ ძალიან შეაწუხა ოსები და არა ნაკლებ ლევანიც. 1811 წელს გაზაფხულზე ლევანმა მიატოვა ნარის ოსეთი, აქეთ გადმოვიდა, დაბინავდა სოფელ ზაკაში და აქედან კიდევ ეცადა არაგვისა და ქსანის ხეობის ოსების აჯანყებას, მაგრამ ეხლა ეს შეუძლებელი გახდა. ოსები მეტად შეწუხებულნი და გაღატაკებულნი იყვნენ, მათი სახლ-კარი და საცხოვრებელი კიდევ ისევ აწიოკებული და დანგრეულნი იყო, ხალხი კარგად გონს ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო და ამის გამო ვეღარ უმხრეს ლევანს. ლევანი ისევ უკან დაბრუნდა ნარის ოსეთში, მაგრამ აქ ნახა, რომ ნარელებიც აღარ უყურებდნენ მას წინანდებულად. ნარის ოსეთში ამ დროს ჩუმად მოქმედებდა პოდპოლკოვნიკი აფრიამ ენიკოლოფოვი. მას მინდობილი ჰქონდა მოესყიდნა ვინმე და ლევანი დაეჭირა, ამისათვის შეეძლო საჩუქრად 1000—2000 მანეთამდის მიეცა. მხოლოდ ლევანი კი უსათუოდ უნდა დაეჭირათ სოფ. სხლებში ჩამოეყვანათ და იქ გადაეცათ რუსის მხედრობისათვის. ვერც ფულით მოახერხა რამე ტორმასოვმა, თუმცა კი მართლაც ერთხელ, მოსყიდულმა მამასახლისმა ლევანი მოტყუებით მოიყვანა რუსის დარაჯებამდის, მაგრამ გამჭრიახმა და ფრთხილმა ლევანმა ხიფათი იგრძნო და გაქცევით უშველა თავს. ყველა ლევანის მხლებლები კი რუსის დარაჯებმა იგდეს ხელთ.[21]

ამ შემთხვევამ ლევანი დაარწმუნა, რომ მას ოსეთში აღარ დაედგომოდა, ამისათვის გადასწყვიტა მიეტოვებინა ოსეთი.

ზურაბ წერეთლის შემწეობით ლევანმა მშვიდობიანად გადმოიარა რაჭა, იმერეთი და ახალციხეს გადავიდა. 1810 წელს, ზამთარში, ახალციხეში ალექსანდრე ბატონიშვილი შერიფ-ფაშა უძახდნენ ლევანს, მაგრამ მაშინ არ წავიდა.[22] ეხლა კი აქ მოგზაურობის დროს, 1811 წელს შემოდგომაზე, გოგიის ციხესთან ლევანი თავს წააწყდა ლეკების ბრბოს, რომლებთანაც ლევანს ჩხუბი და რაღაც კერძო ლაპარაკი შექმნა. ლეკებმა ლევანი ხანჯლებით აკუწეს. ლევანს ამ დროს თან ჰყავდა მარტო სამი მხლებელი ოსი. ლევანის თავი და დასისხლიანებული ტანისამოსი ახალციხეს წაიღეს და შერიფ-ფაშას მიუტანეს.

**ავ. აბესაძე.**

*) იხ. „სახალ. გაზ." № 1078.

14) Акты т. IV, № 648—652.

15) წინეთ ოსებს ჩვეულებათ ქონდათ, ვინც კი ხმალს კისერზე ჩამოიკიდებდა პატიების სათხოვნელად, მას მეომრად აღარ თვლიდნენ და თითქმის თავისი ოჯახისაგანაც საძაგებელნი ხდებოდნენ.

16) ტორმასოვის მოხსენება სამხედრო მინისტრისადმი 1810 წ. დეკემბრის 16-ს № 216 ამ ლაშქრობის გამო სტალს ებოძა გენერალმაიორის ჩინი და მაიორ პოტლოგს წმ. ვლადიმირის ორდენი მეოთხე ხარისხისა.

17) Потто т. II. с. 239. Акты т. IV. № 162.

18) Акты т. IV № 168.

19) Акты т. IV № 156 и 157. Но Леванъ вѣроломству своему противъ Россіи", съ презрѣніемъ бросилъ этихъ рыбъ собакахъ".

20) Акты т. 4, № 170 и 171. Потто т. 2, ст. 241.

21) Акты 4. № 187, Потто, т. 2. с. 251

22) Акты т. 4' № 154. შერიფ-ფაშის წერილი ლევანთან 24 ოქტომბერს 1810 წ.

**იოჰანესბურგი.** გაფიცულთ მიტინგმა ადგილობრივ მთავრობის გადადგომა მოითხოვა. მიტინგმა დაადგინა, მთავრობას სთხოვოს, გაფიცულთა წინააღმდეგ ინგლისის ჯარი არ გამოიყვანონ.

**კაპშტადტი.** იოგანისბურგსა და პრეტორიაში თავს იყრის ჯარის ნაწილები. აქეთვე იგზავნება ბურების სოფლებიდან რაზმები. როგორც სჩანს მოძრაობას გაფიცვის ხასიათი კი არა უფრო რევოლუციის ელფერი აქვს.

# დეპეშები

(დეპეშათა ჰეტერბ. სააგენტოსაგან).

**29 დეკემბერი.**

**უ ც ხ ო ე თ ი.**

**რომი.** სტეფანის სააგენტოს ცნობით, დი-სან-ჯულიანოსა და ვენიზელოსის შორის მოლაპარაკების შესახებ ცნობები სიმართლეს მოკლებულია. მოლაპარაკების შინაარსი მათ არავისთვის არ გაუმჟღავნებიათ.

**ვენა.** ავსტრია-ჰუნგრეთის ბანკს 1913 წ. წმინდა მოგება 46.278,743 კრონი ჰქონია. დივიდენდი 129,10 ულრის, ანუ თვითოეულ აქციაზე 9,221 კრონი.

**სტრასბურგი.** პოლკოვნიკი რეიტერი, ლეიტენანტი შადი და პორუჩიკი ფორსტნერი გაამართლეს.

**რომი.** ვენიზელოსი ესტუმრა გერმანიისა და ავსტრიის ელჩებს და 29 დეკემბერს პარიზს გაემგზავრა.

**ლისაბონი.** სახელმწიფო მოღალატენი—მაიორი, ორი კაპიტანი, პორუჩიკი, მღვდელი და რამდენიმე სხვა პატიმარი ციხიდან ხვრელის საშუალებით გაიპარნენ.

**რომი.** სან-ჯულიანო სადარბაზოდ იყო ვენიზელოსთან. საღამოთი ვენიზელოსი მეფემ მიიღო.

**ბელგრადი.** 29 დეკემბერს ნიშში იდღესასწაულებენ მილანის ედიქტის იუბილეს. დაესწრება ტახტის მემკვიდრე, პაშიჩი, მინისტრები, დესპანები და სხვანი.

**რომი.** ვენიზელოსი და სან-ჯულიანო ჯერ ვერ შეთანხმდნენ. ვენიზელოსი ევროპის სატახტო ქალაქებში იმისთვის მიემგზავრება, რათა პირადის მოლაპარაკებით გამოარკვიოს სახელმწიფოთა აზრი საბერძნეთის მოთხოვნილებაზე.

**რ უ ს ე თ ი.**

**რეველი.** ორი დღეა ქარ-ბუქია. მატარებლების მიმოსვლა შესწყდა. ლიანდაგის გასასუფთავებლად სამხედრო მატარებელი გაგზავნეს.

**პეტერბურგი.** სამხრეთ-დასავლეთ ლიანდაგებზე ნამქერებია.

**ხარკოვი.** გინეკოლოგთა და ბებია ქალთა მეხუთე სრულიად რუსეთის კრება დაიწყო.

**მოსკოვი.** თვალის ექიმთა პირველი სრულიად რუსეთის კრება დაიწყო. თავმჯდომარეობს ხარკოველი პროფესორი გირშმანი. 200 ექიმზე მეტი შეიკრიბა.

**დონის როსტოვი.** ნავოსნობა დაიწყო.

**ვარშავა.** რონიკერის საქმის გამოგანაჩენს ხვალე გამოაცხადებენ.

**ხარკოვი.** ბუითალთა სრულიად რუსეთის მესამე კრება დაიწყო.

**ბათომი.** ზღვაზე ძლიერი ღელვაა. გემების მიმოსვლა შეფერხებულია.

**კიევი.** სამხრეთ-დასავლეთ მხარეს საშინელი ქარ-ბუქია. მატარებლებს ნამქერები აჩერებს.

**მოსკოვი.** სულით ავადმყოფთა საერთაშორისო მეხუთე კონგრესი დასრულდა. შემდეგი კონგრესი მოხდება პარიზში 1916 წელს.

# თეატრი და ხელოვნება

**გორი.** ისეთი რთული პიესის დადგმა, როგორც „ღალატია“ და ისიც რუსულად, გორის პაწია, მოუწყობელ სცენაზე, ყოვლად შეუძლებელია, მაგრამ ჩვენა სცენის მოყვარეებმა ამას ყურადღება არ მიაქციეს და რუსულად მოგვასმენინეს „ღალატი“ შაბათს, 28 დეკემბერს, ადგ. საზ. საკრ. დარბაზში. საზოგადოების მთავარი ყურადღება ზეინაბისკენ იყო მიქცეული (ქ. ამირეჯიბისა—ტომით რუსია). ქ. ამირეჯიბისას კარგი სახელი აქვს აქ, როგორც სცენის მოყვარეს, საკმაოდ არის სცენას შეთვისებული, მაგრამ მისი ზეინაბი ჩანც შორს იყო შარავანდედით მოსილ დედოფალ ზეინაბზე, ამირეჯიბის ზეინაბს ცეცხლი აკლდა.

ოთარ-ბეგს (მამასახლისოვი) მეტად თავისუფლად ეჭირა თავი, როლის ულოდინარობაც ეტყობოდა. კ. დონდაროვი (სოლეიმან ხანი) ჩვენებურად რომ ვსთქვათ, უფრო ნარელოსს მოგვაგონებდათ. იგი მხოლოდ სახელით იყო სოლეიმანი. არც სიხლის მხმელობა, არც სიმკაცრე, დესპოტობა, რკინის ხასიათი, შეუბრალებლობა.. სუსტი ხმა და მეფური მედიდურობის უქონლობა უფრო პაროდიას ჰქმნიდა სოლეიმანისას და მსმენელებში ღიმილს იწვევდა...

კარგი ანანია იყო გ. თაზიშვილი. იგი დახელოვნებული სცენის მოყვარეა, კარგი ხმა და შესაფერი მიხვრა-მოხვრა აქვს.

შედარებით კარგი გაიანე იყო ალ. ციციშვილის ასული... რუქაიას (პომერანცევისა) ხმა არა ისმოდა-რა...

დანარჩენებზე დუმილს ვარჩევთ... ბილეთების სიძვირისა გამო ხალხი ნაკლებ დაესწრო. **ერედველი**

**სად. ნახიჩევანი** (ერევნის გუბერ.). 21 დეკემბერს, ნახიჩევნის რკინის გზის თეატრში, რკინის გზის ღარიბ შეგირდთა სასარგებლოდ გაიმართა რუსულ-ქართული წარმოდგენა. ქართულად წარმოადგინეს ავ. ცაგარლის „ოინბაზი“, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ სცენის მოყვარენი ვ. საათაშვილი (ალექსანდრე) მ. მერაბიშვილისა (სონა) კ. მერაბიშვილი (ტიგრან ტერ-ოპოპიანცი) და სხ. წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა, და ხალხიც საკმაოდ დაესწრო.

სად. ნახიჩევნის რკინის გზის თეატრი ისეთი მოწყობილი სცენაა და თვით შენობაც საუცხოვო, აქაური ქართველობა კი სრულიად არ სარგებლობს ამ შემთხვევით, ეს ხდება მაშინ, როდესაც ქართველთა რიცხვი მოსამსახურების 3—4 პროც. შეადგენს. **გლეხი ვანო.**

**ქ. ბათომი.** 26-ს დეკემბერს აქ პირველად ამ სეზონში გამართულ იყო სამხიარულო საღამო.

წარმოადგინეს 1) პოტოპენკოს პოლიტიკური ბუფონადა 1 მოქ. თარგმანი კ. ხახანაშვილის. 2) გუნიასი „ადვაკატთან“ და 3) გასართობი დივერტისმენტი—ახალი კომბინაცია შ. დ—სა. სამთავე მოქმედებამ კარგად და მწყობრად ჩაიარა—ბოლოს შესრულებულ იქმნა სხვა და სხვა კუპლეტები და ლექსები სევდიანისა—მუზიკა სხვა და სხვისა... მეტად ორიგინალური იყო 1) პატარა ბიჭი ყულაბით ხელში—ზედ წარწერით: „ბათუმის დრამატ. საზოგადოება“. 2) ეჟვერთელა ტვირთი—ზედ წარწერით: „საფუთო გადასახადი“ და 3) სომეხი, რომელიც რაღაც შენობას მიათრევს—ზედ წარწერით: „ნავთლუღის პოლიტეხნიკუმი“ და სხვ. და სხვ—გასართობები—ცეკვა—საქანელა. ერთი სიტყვით ბ. შალვა დადიანს არ დაეშურა თავისი შრომა ენერგია, რომ ეს საღამო მეტად სამხიარულო ყოფილიყო. და ასეც მოხდა, დიდად ნასიამოვნებელი საზოგადოების ტაშის დაკვრას საზღვარი არა ჰქონდა—თეატრი გაჭედილი იყო ხალხით. **ტრ—იძე.**

# წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ შემდეგი მადლობა დაიბეჭდოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში.

ულრმეს მადლობას მოვახსენებ ბატონ ბარკალაიას, რომელმაც ჩემდამი რწმუნებულ ქართულ სკოლის შეგირდს ათ მაურიანი სახელმძღვანელო უყიდა, ქალბატონ მ. მ. კრუპენნიკოვისას, რომელმაც იმავე სკოლის საბავშვო ბიბლიოთეკას შემოსწირა ოც-და-ახუთმეტი ცალი საბავშო წიგნი, ბატონ ვანო დუშურაშვილს ოც-და-ერთი ცალი საბავშო წიგნაკის (ყდებში დაკაზმული) შემოწირვისათვის, ბატონ არჩილ ციხისთავს „სახალხო გაზეთის“—1914 წლისა დაკვეთისათვის, ბატონ ივანე პაატაშვილს და ივანე კალატოზიშვილს ჟურნალ „მოამბის“ 1901 წ. 11 ნომრის, 1902 წ. 12 ნომრის, 1903 წ. 12 ნომრის, 1904 წ. 12 ნომრის, 1905 წ. 10 ნომრის და „ივერიის ბიბლიოთეკის“ 3 ნომრის შემოწირვისათვის.

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების თელავის განყოფილების სკოლის მასწავლებელი **ნინო გოგნიაშვილისა.**

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ამ ჩემს შენიშვნას ადგილი დაუთმოთ თქვენი პატივცემულ გაზეთის მახლობელს ნომერში. ხუთშაბათს, 19 დეკემბერს, ქართულ თეატრში ქ-ნი დავითაშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილ იქმნა შილერის „მარიამ სტუარტი“, თარგმნილი ი. ბაქრაძის მიერ. ეს პიესა, როგორც სამართლიანადაც აღნიშნეს გაზეთებმა, სრულიად დამახინჯებულად იქმნა წარმოდგენილი. პიესის შინაარსის გაგება ყოვლად შეუძლებელი იყო, თუ მაყურებელი წინდაწინვე არ იცნობდა პიესას. არც ერთმა მსახიობმა როლი არ იცოდა; მაგრამ სავალალო უფრო ის არის, რომ იმ დღეს ი. ბაქრაძის მიერ ნათარგმნი მარიამ სტუარტიკი არ იყო წარმოდგენილი, არამედ მსახიობთა მიერ თავისუფალი, ხელდახელი თარგმანი, ვისაც რა მოადგებოდა პირზე, იმას ამბობდა. განსვენებულს ი. ბაქრაძის ნათარგმნს მარიამ სტუარტს ძალიან კარგად ვიცნობ; ვუცქეროდი სცენას, ვისმენდი მსახიობთა სიტყვებს და გაოცებული ვეკითხებოდი ჩემს თავს: ვისი სიტყვებით ლაპარაკობენ მეთქი: ამ წარმოდგენას რეცენზია უძღვნა სახალხო გაზეთმა ბ-ნა მ—ლის სახელით, რომელმაც აღნიშნა იგივე, რაც ზემოდ ვსთქვი და ბოლოს დაამთავრა ასე: „თარგმანი სუსტი გამოდგა“. ეს უკანასკნელი შენიშვნა უმართებულოა. რეცენზიის დამწერი დამყარებულა მხოლოდ მსახიობების დამახინჯებულ ენაზე და დამახინჯებულივე ენით დაწერილს აფიშაზე: ნათარგმნია **მარიამ** სტუარტი და არა მარია სტუარტი. ი. ბაქრაძეს, როგორც მთარგმნელს და ტკბილს მოქართულეს ქართველი შეგნებული საზოგადოება ძალიან კარგად იცნობს. **ნ. ბ—ძე.**

ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადოთ ივანე ზაალის ძე სვანიშვილს, რომელმაც ნაცნობ-მეგობრებში შეკრიბა წიგნები და ფული (54 მ. 3 კ.) შუხუთის უფასო წიგნთ საცავ სამკითხველოს სასარგებლოდ, აგრეთვე ულრმეს მადლობას ვუცხადებთ იმ პირთ, რომელთაც თავიანთი წვლილი არ დაიშურეს ზემოხსენებულ სამკითხველოს სასარგებლოდ. შემომწირველთა სია:

1) ოლღა ივანეს ასულმა სვანიშვილმა 13 მან. სხვა და სხვა წიგნები. 2) სიმონ ივანეს ძე შუბლაძემ 1 მან. 3) შაშიკო გერონტის ასულმა ბარამიძემ 1 მან. 4) ნინო დავითის ასულმა სვანიშვილმა 1 მან. 5) მარიამ საბას ასულმა ცომაიამ 1 მან. 80 კაპ. წიგნები. 6) სოსიკო მერკვილაძემ 5 მან. წიგნები. 7) ბართლომე კილაძემ 1 მან. ფულად და 80 კაპ. წიგნი. 8) ვახტანგ სოლომონის ძე მუსხელიშვილმა 3 მან. 9) „უცნობმა“ 3 მან. 25 კაპ. წიგნები. 10) ბარნაბა ერმ. კობალაძემ 3 მან. 59 კაპ. წიგნები. 11) ტერეზი კალანდაძისამ 10 მან. 59 კ. სხვა და სხვა წიგნები. 12) ანდრო აგიას ძე სარჯველაძემ 1 მან 13) ეფიმე ხვედელიძემ 1 მან. 14) ივანე ზაალის ძე სვანიშვილმა 2 მან. ფულად და 5 მან. წიგნები.

**გამგეობა შუხუთის უფასო წიგნთსაცავ სამკითხველოსი.**

ბ-ნო რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი პატივცემული გაზეთით გულითადი მადლობა გამოუცხადო ქ. ანნა ი. ქიტიაშვილისას და ქ. ოლღა მ. კვალიაშვილისას, რომელთაც ჩემ მიერ დაარსებული ქ. პროფესიონალური სკოლის ხელმოკლე მოწაფეთათვის სწავლის ფული შემოიტანეს. გიგზავნით მოწაფეთა სიას. ოლღა გიორგობიანისათვის 11 მან. პელაგია პავლიაშვილისათვის 11 მ., ანნა გაგნიძისათვის 10 მან., ბარბარე მოთნიაშვილისათვის 15 მან. ეკატერინე სამადლაშვილისათვის 15 მ., ნინო მეტრეველისათვის 15 მ., პელაგია მაჩაბელაშვილისათვის 15 მან., ნინო ყანჩაველისათვის 15 მან., ანნა რიუზოვისათვის 15 მან., თამარა შენგელიასათვის 15 მ., მარიამ ზაზენოვასათვის 15 მან., მარიამ აჯაბეგოვისათვის 15 მან.

ულრმეს მადლობას ვუძღვნი მ. კეზელისას, ე. ფალავანდიშვილისას, მ. თარხან-მოურავს, ე. მაჩაბელს, ან. წერეთლისას, ქ. ჯაფარიძეს, ან. წერეთლისას, თ. ნ. ვეზირიშვილებს, თ. ზლატნიცკის, თ. რაზიკაშვილს, ე. ა. ენგელმანს, ფაშალიშვილს, პ. ტერ-სტეფანოვს, ა. თაზიშვილს, მ. ჩეტკერაშვილს, ლორთქიფანიძეს, გ. ამირეჯიბს, ვ. კვალიაშვილს და ყველა იმ პირთ, რომელნიც სრულის თანაგრძნობით ეკიდებიან ზემოხსენებული სკოლის ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლად გამართულ საღამოებს და ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებენ. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ გორის საზოგადოებამ, უმნიშვნელო გამონაკლისით, თავიანთის თანაგრძნობით იქამდის მიმახწევინა, რომ წელს საზოგადოების იმედით 15 ღარიბი მოწაფე ავიყვანე.

ულრმეს მადლობას ვსწირავ დიდად პატივცემულ ნ. ი. ლომაურს, რომელმაც სამი მან. გადმომცა ღარიბ მოწაფეთათვის ამ ფულით ერთი მოწაფე შევმოსე. აგრეთვე ამავე სკოლის ბიბლიოთეკისათვის ყოველთვის მიგზავნის თავის გამოცემებს.

აგრეთვე მადლობას უძღვნი დ. სესიევს, რომელმაც ზემოხსენებულ სკოლის ბიბლიოთეკისთვის ს. გძელიშვილის ხელით გამომიგზავნა შემდეგი წიგნები:

1. რჩეული პედაგოგიური ნაწერები ი. გოგებაშვილისა. 2) დავით გურამიშვილის ლექსები. 3) საფრანგეთის დიდი რევოლუცია. 4) ბრძოლა უფლებისათვის. ა) დიდი მოურავი მაშმადი და მისი რჯული დ. ბარაკიშვილისა.

აგრეთვე მადლობას ვუძღვნი გაიანე იოსებ თარხან-მოურავი თ. შარვაშიძისას, რომელმაც სოფელ ახალქალაქში ჩემდამი დაარსებული ქრა-კერვის სკოლის სასარგებლოდ გადმომცა ერთი თუმანი. ამ ფულით ზემოხსენებული სკოლისათვის შევიძინე ორი ყალიბი.

გორის კერძო ქალთა პროფ. სკოლის დამაარსებელი და გამგე **ელ. ზაალის ასული თარხან-მოურავი.**

მივიღე მეტეხის ციხის წიგნთ-საცავისთვის თომა ნასიძისაგან 72 ცალი რუსულ-ქართული სხვა და სხვა რჩეული წიგნი, მიხეილ საყვარელიძისაგან 4 ცალი ქართული წიგნი, ქრისტეფორე რაჭველიშვილისაგან 17 ცალი ქართული წიგნი, თავად ივანე ავალიშვილისაგან 1 ცალი ქრთ. წიგნი, სულ 94 ცალი, რისთვისაც ზემოხსენებულ პირთ ულრმეს მადლობას ვუძღვნი ტუსაღების მხრივ და ჩემს მაგიერადაც.

მეტეხის ციხის წიგნთ-საცავის გამგე მღ. **მიხეილ დევიძე.**

# შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს.

1) სოფიო იოსების ასულმა სარაჯიშვილისამ—ვერცხლის კოჩხა.

2) ი. სახოკიამ: ა) ისრის პირი კაჟისა, ბ) რუსეთ-ოსმალეთის რუკა 1788 წლისა (ფრანგული) და გ) წიგნი—Gssai sur les troulles actuels de perse et le Georgie (Par de P***).

3) ქეთევანმა და ელიტე შიშნიაშვილებმა: ა) ექვსი შავი ფული, ბ) სამი თეთრი ფული და გ) ერთი ქანდალისა (იაპონური).

4) კონსტანტინე ქელაშვილმა—ფარნაოზ ბატონიშვილის სიგელი.

5) დიმიტრი გრ. ჩოლაყაშვილმა—წიგნები ა) Утренній Свѣтъ, часть II (1799 г.) და ბ) leçons Françaises de litterature et de Morale.

6) მხატვარმა მოსე თოიძემ: ა) 73 შავი ფული, ბ) ქართული სუფრის საბეჭდე კლიშეები (ერთი მთელი და მეორე ნატეხი) და გ) ჩიბუხი ვერცხლით შეჭედილი.

7) ალექსანდრე სარდიონის ძემ წერეთელმა: ა) ძველი ჯვარი, ბ) უენო პატარა ზარი, გ) წეროქვი, დ) ისრის პირი რკინისა და ე) კოხი რაღაც გადამდნარ ლითონისა.

8) პავლე ალექსანდრეს ძემ თუმანიშვილმა—ა) რიტორიკა ანტონ კათოლიკოზისა მე XVIII საუკუნის ხელნაწერი, მხედრული.

*) დეკანოზმა კ. კეკელიძემ—ქართული თეთრი ფული.

10) ალექსანდრა იოსების ასულმა ნებიერიძისამ—ქართული თეთრი ფული 1831 წ.

11) ნესტორ ბარაბაძემ—სამი მან. (3 მ.)

12) პეტრე გოკიელოვმა—სამი მ.

13) მოსე გვარჯილაძემ—სამი მან. (3 მ.).

14) ელიზბარ ზვიადაძემ—სამი მ. (3 მ.)

საზოგადოების გამგეობა გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველებს.

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**


**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

**სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა** გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

**ფეხსაცმელები თომა დ. ჯანყარაშვილის მაღაზია-სახელოსნოში** მუხრანის ქ. № 2.



მიღებულია ახალი ზამთრის სეზონის საქონელი ვარშავის და პეტერბურგის მექანიკური ნაწარმოებისა. ფასები საფაბრიკოა. 865

**ექიმნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო** (დაარსებულია 1880 წელს) ერივანსკის მოედნის პირდაპირ. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

**დ ი ლ ი თ:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. ატაბაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საშვილო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. კარამეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, აპავშვთა და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საშვილო და ქალების ავადმყ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

**გამოსულია და იყიდება ი. გედევანიშვილის პიესა „გ ა მ ც ე მ ი“** დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

1914 წ. იანვრიდან ტფილისში გამოვა ყოველ თვიური **სამეცნიერო ჟურნალი „ჩ ვ ე ნ ი ს ი ძ ვ ე ლ ე“.**
ჟურნალში დაიბეჭდება წერილები (სპეციალური და პოპულიარული) საქართველოს წარსულის შესახებ. ჟურნალი დასურათებული იქნება. ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი წარსულის საუკეთესო მცოდნენი. ჟურნალი გამოვა ყოველ თვის შუა რიცხვებში. ჟურნალის ფასი წლიურად 7 მანეთი, რომელიც შეიძლება შემოტანილ იქმნას ნაწილობით—ჯერ 3 მან., და შემდეგ. ორიოლი ჟურნალი ცალკე ნომრობით არ გაიყიდება.
ფულისა და კორესპონდენციისათვის **ადრესი:**
Тифлисъ. Высшіе женскіе курсы, Сергѣю Несторовичу Какабадзе.
ტფილისში ხელის-მოწერა მიიღება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ხოლო ქუთაისში „იმერეთის“ კანტორაში ის. კვიცარიძესთან.
1653 რედაქტორ-გამომცემელი **სარგის კაკაბაძე.**

**საზღვარ-გარეთის კინტო**
**რ. ა. პორტუგალოვისა**
იუწყება, რომ კუკიის (ნიკოლოზის) ხიდზე (№ 23—24) არსებულმა **საქარხნო მაღაზიამ** მიიღო დიდ-ძალი **შეკერილი ტანისამოსი** მამაკაცების, ქალებისა და ბავშვებისათვის. მიღებულია აგრეთვე მამაკაცთა კოსტიუმები, ქალებისათვის ქვედატანი და ხალათები ცალ-ცალკე. **ახლად მიღებულია.** ძალიან იაფად, საქარხნო ფასებზე 30 პროცენტის დაკლებით, იყიდება სეზონიდან დარჩენილი საქონელი. იმედი გვაქვს, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან.
აქვე მიიღება ყოველგვარი შეკვეთა.
1632 პატივისცემით **რ. ა. პორტუგალოვისა.**
**კ ი ნ ტ ო**

**გამოსულია და იყიდება ნ. შიუკაშვილის პიესა „მეგობრობა“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**უფლებიანი სავაჭრო სკოლა და საბუღალტერო კურსები ივანე ზაქარიას ძე ტერ-სტეფანოვისა**
სკოლაში მეცადინეობა დაიწყება 8 იანვრიდან დილის 8 ნახ.—2 საათამდე. 15 იანვრიდან კურსების მეცადინეობა 1-ლ ჯგუფთან იწარმოებს 2 ნახ.—5 საათამდე. მე-2 ჯგუფთან საღამოს 7 ნახ.—10 საათ. იქვე იყიდება სახელმძღვანელონი **ბუღალტერიის შესწავლა** შეიძლება აგრეთვე მიწერ-მოწერითაც. მიხეილის ქ. სახლი № 17. 905.

**მოითხოვეთ ყველგან ბუნებრივი თაფლი 1 კავკასიური მეფუტკრეობის სამრეწველო ა. დიუმასი**



ტფილისი, მიხეილის ქუჩა № 140. 1656.




უმაღლეს ხისახლის იჯარადარი.
ფლაკონი 1 მ. 20 კ. 2 მ. იყიდება ყველგან.

**მუდამ დღე მოგვდის თევზის მრეწველნი ბმ. ძმ. მეგველოვები.**
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

**ახალ-ახალი** მტკვრის თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
აგრეთვე იყიდება მაილოვის **ხიზილალა.**
კოლოფით ქიტკა და ხმელი სოკო აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დოში, იანი, ქიპა, ზურგიელები** და სხვა ყოველნაირი თევზეულობა და **კონსერვები.**